



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	გორის „ჯიქი“ - ქუთაისის „ბაგრატი“		
გუნდი	გორის „ჯიქი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	19/11/2021	მატჩის ადგილი	გორი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი კლიმიაშვილი		
მომჩივანი	მატჩის მატჩის მთავარი მსაჯი ო.მოგელაშვილი, მატჩის კიდის მსაჯი ს.მახარაძე.	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, მუხლი 5 ქცევის კოდექსი - პუნქტი 5.5 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას; სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2. რეკომენდირებული დისკვალიფიკაციის ვადები ძირითადი არამართებული ქცევისათვის მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.	წითელი ბარათი	საითინგი სხვა ✓ თუ „სხვა“ აღწერეთ :



განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	22/11/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭამირეჯების #6.
თავმჯდომარე	მირიან თვზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები :	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის ო.მოგელაშვილის წით. ბარათის ოქმი (19/11/2021) მატჩის კიდის მსაჯის ს. მახარაძის წით. ბარათის ოქმი(19/11/2021)		

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის ო. მოგელაშვილის წითელი ბარათის ოქმი (19/11/2021)
2. მატჩის კიდის მსაჯის ს. მახარაძის წითელი ბარათის ოქმი(19/11/2021)
3. გორის “ჯიქი“-ს მწვრთნელის გიორგი კლიმიაშვილის 22/11/2021-ში სატელეფონო გამოკითხვის აუდიო ჩანაწერი.
4. მატჩის მთავარი მსაჯის ონისე მოგელაშვილის 22/11/2021-ში სატელეფონო გამოკითხვის აუდიო ჩანაწერი.

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

2021 წლის 22 ნოემბერს, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, გორის “ჯიქი“-ს მწვრთნელმა გიორგი კლიმიაშვილმა აღიარა მატჩის ოფიციალური პირების წითელი ბარათის ოქმებში აღნიშნული მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება. გიორგი კლიმიაშვილის განმარტებით, აპელირება გამოწვეული იყო მსაჯის მიერ სათამაშო სიტუაციის არასწორად შეფასებით. გიორგი კლიმიაშვილმა აგრეთვე განაცხადა, რომ ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ მან მადლობა გადაუხადა მსაჯს და ტაში დაუკრა მის გადაწყვეტილებას, ხოლო ამის შემდეგ მსაჯის მიერ მისთვის წითელი ბარათის ჩვენება არ დაუნახავს, რადგან ტოვებდა მოედანს და ეს ფაქტის მისთვის უცნობი იყო.



### ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 19 ნოემბერს გაიმართა I ლიგის კალენდარული მატჩი გორის „ჯიქი“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“-ს შორის.
2. მატჩის მსაჯის ო. მოგელაშვილის წითელი ბარათის ოქმის (19/11/2021) და სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, თამაშის მეორე ნახევარში, გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელმა გიორგი კლიმიაშვილმა გააპროტესტა მისი გადაწყვეტილება, რის გამოც მან გიორგი კლიმიაშვილს უჩვენა ყვითელი ბარათი და მოსთხოვა სათამაშოს არეალის დატოვება. ო. მოგელაშვილის(მსაჯი) განმარტებით, გიორგი კლიმიაშვილი ყვითელი ბარათის მიღებას ხმამაღლა აპროტესტებდა და ცინიკურად ტაშს უკრავდა მსაჯს ამ გადაწყვეტილების გამო. რის შემდეგაც მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელს გიორგი კლიმიაშვილს.
3. მატჩის კიდის მსაჯის ს. მახარაძის წითელი ბარათის ოქმის(19/11/2021) მიხედვით, თამაშის თამაშის მეორე ნახევრის მიწურულს გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელმა გიორგი კლიმიაშვილმა გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება რის გამოც მატჩის მსაჯმა მას უჩვენა ყვითელი ბარათი და მოსთხოვა სათამაშო არეალის დატოვება. მატჩის კიდის მსაჯის ს. მახარაძის განმარტებით, მსაჯის ეს გადაწყვეტილება გიორგი კლიმიაშვილმა გააპროტესტა ყვირილით და ცინიკური ტაშის დაკვრით, რასაც მსაჯის მხრიდან მოჰყვა მისთვის წითელი ბარათის ჩვენება.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სანქციების პროცედურა
დარღვევის სიმძიმის შეფასება

1. სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით.
2. სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო მატჩის ოფიციალური პირების წითელი ბარათის ოქმებში აღნიშნული გარემოება - კერძოდ ის ფაქტი, რომ გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელმა გიორგი კლიმიაშვილმა ყვითელი ბარათის მიღების მიუხედავად განაგრძო მსაჯის გადაწყვეტილებებზე ხმამაღალი აპელირება და ცინიკურად ტაშის დაკვრა. რის გამოც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით, გიორგი კლიმიაშვილის დისციპლინარული დარღვევა (მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება) შეაფასდა როგორც სერიოზული.



3. სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა გორის „ჯიქი“-ს მწვრთნელის, გიორგი კლიმიაშვილის, სუფთა სადისციპლინო ისტორია, მოსმენისას მის მიერ დისციპლინარული დარღვევის აღიარება.
4. სადისციპლინო კომისიამ, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ს მიხედვით (მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება) სიმძიმის შეფასებისას, განსაზღვრული დისკვალიფიკაციის ვადებიდან, შეუფარდა უმცირესი.

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2(ორი) კვირა	წითელი ზარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	23/11/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	13/12/2021 ( I ლიგის მიმდინარე გრაფიკის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ პიროვნებას, დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეალში, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, ნებისმიერ დონეზე.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	არა
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	არა

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	22/11/2021
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72(სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.